ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7225850

ნომერი: AR11057727

თარიღი : 18.09.2024

გაცემის თარიღი : 25.09.2024

გაცნობის თარიღი : 25.09.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კოპლატაძე პ/ნ 01019025128
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 33 ბ. 15ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 18 სექტემბრის №AR11057727 განცხადებით მომართა გიორგი კოპტალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 10 ივლისის №ბ17.012419213 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 06 აპრილის №3195190 ბრძანებით №01.11.13.002.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულის შემდეგ აღნიშნულ ობიექტზე დაინტერესებულ პირს შეთანხმებული პროექტის ცვლილების ან/და მშენებლობის ნებართვის მიღების მოთხოვნით არ მოუმართავს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 10 ივლისის №ბ17.012419213 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში №01.11.13.002.171 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა).

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ მშენებლობა ნაწარმოები იქნა სანებართვო პირობების დარღვევით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენილ იქნა ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისი ნახაზები, რომლებიც სამსახურთან შეთანხმებული არ ყოფილა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური არ არის უფლებამოსილი გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 10 ივლისის №ბ17.012419213 ბრძანებაში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.